

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

სტუდენტური სერვისები

კონსულტაციები და მომსახურება პროფესიული სტუდენტის სასწავლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს საკონსულტაციო მომსახურებას, კონსულტირებას და დახმარებას უწევს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მომსახურებას, გაცემს ინფორმაციას და კონსულტაციებს რეგისტრაციის, ჩარიცხვის, სასწავლო პროცესის ორგანიზების, პრაქტიკების, შედეგების დადასტურებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებში.

გაცემს ცნობებს, საჭირო დოკუმენტაციას სტუდენტის სტატუსის, აკადემიური მოსწრების და სხვ. საკითხებზე.

სამედიცინო მომსახურება

კოლეჯში სამედიცინო მომსახურებისთვის გამოყოფილია სპეციალური სივრცე, სადაც პროფესიულ სტუდენტებს ემსახურება ექიმი/ექთანი. კოლეჯის ექიმი/ექთანი ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო სასწავლო გარემო და პროფესიულ სტუდენტთა ჯანმრთელობის უსაფრთხოება.

კოლეჯის ექიმი/ექთანი უწევს მომსახურებას/დახმარებას სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში.

ბიბლიოთეკა

პროფესიულ სტუდენტებს ემსახურება ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი. სასწავლო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით. კოლეჯის სამკითხველო დარბაზში განთავსებულია სამუშაო მაგიდები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. ბიბლიოთეკაში არის ასლგადამღები, პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ მასალის დასკანერება, ასლების გადაღება და ამობეჭდვა.

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე კვირის გარდა.

უკაბელო ინტერნეტი - Wi Fi

კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ უკაბელო ინტერნეტით.

კოლეჯის ღონისძიებები და სტუდენტური ინიციატივები

კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს - კულტურულ-საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ, სპორტულ სხვ.

პროფესიული ორიენტაცია

კოლეჯში შექმნილია სტუდენტთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც ეხმარება დაინტერესებულ პირებს მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის, საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ. კოლეჯი ზრუნავს პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებაზე, კარიერის სამსახური კონსულტაციებს უწევს კურსდამთავრებულებს და ზრუნავს მათ დასაქმებაზე. კურსდამთავრებულები აღირიცხებიან შესაბამის მონაცემთა ბაზაში და კოლეჯი თვალყურს ადევნებს მათ პროფესიულ განვითარებას.

საკონტაქტო ინფორმაცია: 599041184; 591919784; 577970205; 593530404

ელექტრონული მისამართი: mcollge.ge.edu@gmail.com